ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7529251

ნომერი: AR11077369

თარიღი : 10.06.2025

გაცემის თარიღი : 25.06.2025

გაცნობის თარიღი : 21.07.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N 11; ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N 11ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ბენზინ ან დიზელ გასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ვინაიდან განმარტების მიხედვით იგეგმება ნაკვეთზე არსებული გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია, გიაქტიურდებათ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკი და საჭიროა აირჩიოთ "რეკონსტრუქციის"ნომენკლატურა.
2. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა -„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მილსადენი (01.01.834). საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
3. გაცნობებთ, რომ სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, პასუხი გეცნობებათ დანართის სახით.
4. გაითვალისწინეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილით (MIA 1 25 01955432) დადგენილი ხარვეზი და წარმოადგინეთ განახლებული დოკუმენტაცია.
5. დამატებით საჭიროა შემუშავებულ და წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ობიექტიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში; დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ ბენზინ/დიზელ გასამართი სადგურის საექსპერტო-ტექნოლოგიური შეფასების (საპროექტო ტერიტორიასა და მის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების ან/და საკადასტრო ერთეულების გათვალისწინებით) დადებითი საბოლოო დასკვნა, რომელშიც ასახულ უნდა იქნას ის ნორმები (შეზღუდვის არეალების მითითებით), რის საფუძველზეც არის დამუშავებული არქიტექტურული პროექტი.
ასევე, ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვის არეალები ვრცელდება მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე, საჭიროა, დამატებით წარმოდგენილ იქნას მომიჯნავე მიწის მესაკუთრეთა შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით ან/და წარმოადგინეთ პროექტი ნორმებთან შესაბამისობაში;
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.